საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "30" 04 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 584/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 28 მარტის N 71577/03 განაცხადით შპს „Hetline International"-ის (მის: ერისთავის ქ.1, გლდანი ნაძალადევის რაიონი, თბილისი, საქართველო) დირექტორმა გიორგი სელიპანიშვილმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „HetLine" (რეგ. N 23652) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „HetLine" (რეგ. N 23652) საქართველოში რეგისტრირებულია 30.04.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 30.04.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-6 და მე-20 კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „HetLine" (რეგ. N 23652) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 233, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 30.04.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „Hetline International" დირექტორს გიორგი სელიპანიშვილს (მის: ერისთავის ქ.1, გლდანი ნაძალადევის რაიონი, თბილისი, საქართველო).

ასლი დედანთან სწორია
30 " 04 2013 წ.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი: HetLine

რეგისტრაციის N: **23652**

მფლობელი: **შპს „Hetline International“**

მისამართი: **ერისთავის ქ.1, გლდანი ნაძალადევის რაიონი, 0179, თბილისი, საქართველო**

კლას(ებ)ი:

6 - ჩვეულებრივი ლითონები და მათი შენადნობები; ლითონის სამშენებლო მასალა; ლითონის მოძრავი კონსტრუქციები და ნაგებობები; ლითონის მასალა ლიანდაგებისათვის; ჩვეულებრივი ლითონის გვარლები და მავთული (არა ელექტრული); რკინა-კავეული და საკეტი ნაწარმი; ლითონის მილები და მილსადენები; სეიფები; ჩვეულებრივი ლითონის ნაკეთობა, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; მადანი.

20 - ავეჯი, სარკეები, სურათების ჩარჩოები და ა.შ.; ხის, კორპის, ლელქაშის, ლერწმის, ტირიფის, რქის, ძვლის, სპილოს ძვლის, ვეშაპის ულვაშის, კუს ბაკნის, ნიჟარის, ქარვის, სადაფის, "ზღვის ხვირთქლისა" და ამ მასალების შემცვლელებისაგან დამზადებული ნაკეთობა, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს.